ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1516754

ნომერი: AR1249637

თარიღი : 09.09.2014

გაცემის თარიღი : 30.09.2014

გაცნობის თარიღი : 30.09.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ალ. ყაზბეგისა და ს.ქავთარაძის ქუჩების შესაყართან,, ტროლეიბუსების პარკის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლიკა მეცხვარიშვილი პ/ნ 59001095876
- გორი ცხინვალის გზატ. N 7 ბ. 33

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილსის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის განილვის შედეგადაც გაცნობებთ შემდეგს:
წარმოდგენილი ფორომონტაჟის მიხედვით სარეკლამო აბრების - სასაქონლო ნიშნების განთავსებით ხორციელდება უკვე არსებული სარეკლამო აბრის გადაფარვა, რაც იწვევს გაუგებრობას. საჭიროა აღნიშნულის შესახებ განიმარტოს მოთხოვნის ტექსტში, ასევე ნომენკლატურის და მოთხოვნის ტექსტის მიხედვით ითხოვთ სარეკლამო აბრის (სასაქონლო ნიშნის) განთავსების ნებართვას, ხოლო ფოტომონტაჟის მიხედვით ასევე გათვალისწინებულია ფასადზე სხვა სახის სარეკონსტრუქციო სამუშაოები (არსებულ ვიტრინაში კარის მოწყობა), შესაბამისად ნომენკლატურაში დაემატოს მეორე ნომენკლატურაც „ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი –რეკონსტრუქცია“ და შეიცვალოს მოთხოვნის ტექსტიც. წინააღმდეგ შემთხვევაში ფასადზე სხვა სახის სარეკონსტრუქციო სამუშაოები ამოღებულ იქნას ფოტომონტაჟიდან.

ამასთანავე, არსებული სიტუაციის ფოტოსურათების ველში აიტვირთოს შორი მანძილიდან გადაღებული ფოტოსურათები, ხოლო ფოტომონტაჟის ველში შორი მანძილიდან გადაღებულ ფოტოსურათზე დამუშავებული ფოტომონტაჟი დეტალურად ყველა ზომისა და მასალის მითითებით.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.